

ინფორმაციული ფურცელი

პრეგაბალინი

მომხმარებელთა საყურადღებოდ



რა არის პრეგაბალინი?

ეს არის მედიკამენტი, რომელიც წარმოდგენილია კაფსულის ფორმით და განკუთვნილია მხოლოდ გარკვეული დაავადებების სამკურნალოდ.

ექიმის მეთვალყურეობის გარეშე მისი გამოყენება შეიძლება იყოს საშიში.

შესაძლებელია განვითარდეს ამ მედიკამენტზე ძლიერი დამოკიდებულება.



რისკების შემცირება

თუ იყენებ, რამდენიმე რჩევა ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად:



მოერიდე რამდენიმე ნივთიერების ერთდროულად მიღებას – შერევა ზრდის რისკებს!



ზედოზირების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, თუ იღებ ალკოჰოლთან, ბენზოდიაზეპინებთან (მაგ. კლონაზეპამი-რივოტრილი) ერთად ან ოპიოიდებთან ერთად (ტრამადოლი, ჰეროინი, მეთადონი, კოდეინი, მორფინი...).

ზედოზირების შემთხვევაში ნალოქსონი ხელმისაწვდომია სპეციალიზებულ ცენტრებში CSAPA / CAARUD.

დაიწყე მცირე დოზებით და დაელოდე ეფექტს.




მოერიდე მიღებას, თუ გაქვს ჯანმრთელობის ან ფსიქოლოგიური პრობლემები (მაგ. დეპრესია), ან თუ ხარ ორსულად ან ძუძუთი კვებაზე ჩვილს.



არ მართო მანქანა და არ ჩაერთო პასუხისმგებლიან საქმეში.



ნუ დარჩები მარტო, იყავი სანდო ადამიანების გარემოცვაში.




გვერდითი ეფექტები



განწყობის ცვალებადობა, სტრესი, აგრესიულობა,



სუიციდური აზრები, ჰალუსინაციები,




ორიენტაციის დაკარგვა, მეხსიერების გაუარესება, სიტყვების პოვნის სირთულე, თავბრუსხვევა





ღებინება, კუჭის შეკრულება





სექსუალური დარღვევები

 **გრძელვადიანი ეფექტები**

 გულის პრობლემები, ფეხების შეშუპება

 სუნთქვის გაძნელება

 თირკმლის პრობლემები

 აგრესიულობა



ყურადღება:

• არ შეწყვიტო პრეპარატის მიღება უეცრად - არსებობს ცუდად განდომის და კანკალის დაწყების რისკი. საჭიროა დოზის ეტაპობრივი შემცირება, სასურველია სპეციალისტის დახმარებით!



შეიძლება გამოვლინდეს უკმარისობის სინდრომი: შფოთვა, ჰალუსინაციები, სევდა და უარყოფითი აზრები, თავის ტკივილი, გულისრევა, დიარეა და სხვ.





ინფორმაციული ფურცელი

პრეგაბალინი

მომხმარებელთა საყურადღებოდ

ვისთან და სად ისაუბრო?

ექიმი



თუ ეს არის ის პრეპარატი, რომელიც ექიმმა დაგინიშნა, და შენ გრძნობ გვერდით ეფექტებს ან მასზე დამოკიდებულების ნიშნებს - აუცილებელია ამის შესახებ უთხრა შენს მკურნალ ექიმს ან იმ სპეციალისტს, ვინც გმკურნალობს (ფსიქიატრი, ტკივილის ექიმი, ნევროლოგი ...), რათა მოხდეს ამ პრეპარატის ხელახლა შეფასება და შესაძლოა მისი შეცვლა.

CSAPA



CSAPA-ები არის „მკურნალობის, თანადგომისა და პრევენციის ცენტრები ნარკოლოგიაში » ეს ცენტრები იღებენ კონსულტაციაზე იმ პირებს, ვისაც სურთ დახმარება მოხმარებასთან დაკავშირებით (მედიკამენტები, ალკოჰოლი, კანაფი, კოკაინი) ან დამოკიდებულ ქცევებთან (აზარტული თამაშები, ვიდეო თამაშები...). ეს კონსულტაციები არის უფასო და ანონიმური.

[Annuaire des CSAPA en Pays de la Loire :](#)

CSAPA-ების სია Pays de Loire რეგიონში - დაუმინზე ვიდეოთვალი



CAARUD



CAARUD-ები არის „მიღებისა და თანადგომის ცენტრები რისკების შემცირებისთვის ნარკოტიკების მოხმარებლებისთვის“. ეს სივრცეები იღებენ პირებს, რომლებიც მოიხმარენ პროდუქტებს (მედიკამენტები, ალკოჰოლი, კანაფი, კოკაინი და სხვ.) პირობების გარეშე. შესაძლებელია ამ ადგილებში ისაუბრო შენი მოხმარების შესახებ პროფესიონალებთან, რისკების შემცირებაზე, შენს ჯანმრთელობაზე და მიიღო ინფორმაცია მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად. ეს ადგილები არის უფასო და ანონიმური.

არსებობს CAARUD ნანტიში (L'Acothé), სენ-ნაზერში (La Rose des Vents), ლა რომ-სურ-იონში (Auxilium), სომიურ / შოლეში / ანჟეში (Le Boutik), ლე მანში (Arttox), ლავალში (Aides)



სამედიცინო ცენტრები



ზოგიერთ საავადმყოფოს აქვს ადიქტოლოგიის (ნარკოლოგიური) განყოფილებები, რომლებიც სთავაზობენ კონსულტაციებს ადიქტოლოგიაში, საჭიროების შემთხვევაში კი ჰოსპიტალიზაციასაც.

[Annuaire des services d'addictologie dans les centres hospitaliers en Pays de la Loire :](#)

ნარკოლოგიის სერვისების სია საავადმყოფო ცენტრებში პეი დე ლუარის რეგიონში:



სხვა რესურსები



Psychoactif არის თვითდახმარებისა და ურთიერთდახმარების პლატფორმა, რომელსაც მართავს მოხალისეთა გუნდი, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკებთან. იგი მოიცავს, სხვათა შორის, ფორუმს და ინფორმაციას რისკების შემცირების შესახებ.



Analyse ton prod' არის ქსელი, რომელიც საშუალებას იძლევა პროდუქტების ნიმუშების ანალიზისა ანონიმურად და უფასოდ. შეგროვების სხვადასხვა პუნქტები შეიძლება მოიძებნოს ვებგვერდზე. ეს საშუალებას იძლევა უკეთ იყო ინფორმირებული იმ პროდუქტების შემადგენლობაზე, რომლებიც, მაგალითად, ქუჩაში იყიდება, და შეძლო ნაკლები რისკის აღება საკუთარი ჯანმრთელობისთვის (მაგალითად, როდესაც ყიდულობ ახალ პროდუქტს).

